

განმარტებითი ბარათი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი;

კანონპროექტის მიღება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია საჭიროებს სრულყოფას თანამედროვე სავაჭრო ურთიერთობების ინტენსიური განვითარების პირობებში ურთიერთგაცვლის ახალი ფორმების დამკვიდრების პარალელურად. კერძოდ, მასში გათვალისწინებული არ არის ე. წ. Trade In-ის პრინციპი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას. აღნიშნული სავაჭრო პრინციპი გულისხმობს მომხმარებელსა და მიმწოდებელს შორის ისეთ ურთიერთობას, როდესაც მყიდველის მიერ ახალი ავტოტრანსპორტის და კომპიუტერული ტექნიკის შეძენისას ავტოტრანსპორტის და კომპიუტერული ტექნიკის ღირებულების ნაწილის დაფარვა შესაძლებელია იგივე ტიპის ძველი ავტოტრანსპორტის და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისათვის უკან დაბრუნებით. ეს პრინციპი ასევე გულისხმობს ნაყიდი ავტოტრანსპორტის და კომპიუტერული ტექნიკის გაუმჯობესებას და გამოიყენება როგორც საქონლის ასევე მომსახურების შესყიდვისას. სავაჭრო ურთიერთობის ასეთი ფორმა ფართოდაა გავრცელებული მთელს მსოფლიოში და მისი გამოყენება მომხმარებელს აძლევს ხელსაყრელ საშუალებას საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვნად ნაკლები დანახარჯებით და ეფექტურად გაუმჯობესოს ან განაახლოს მის საკუთრებაში მყოფი ესა თუ ის ქონება და მუდმივად ისარგებლოს თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი;

კანონპროექტის მიღების მიზანია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმათა სრულყოფა და სახელმწიფო შესყიდვების პროცესში ე. წ. Trade In-ის პრინციპის გამოყენების იურიდიული შესაძლებლობის შექმნა. ამ სამართლებრივი რეგულირების შემოღება კიდევ უფრო მოქნილს გახდის სახელმწიფო შესყიდვის პროცესს და უზრუნველყოფს სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტით წარმოდგენილი დამატებით შემსყიდველ ორგანიზაციას ეძლევა იურიდიული შესაძლებლობა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ერთ პირთან მოლაპარაკების წესით აწარმოოს შესყიდვა მიმწოდებლებისაგან Trade In-ის პრინციპით, რაც გულისხმობს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებიდან დგროვის გარკვეული პერიოდის გასვლის

შემდეგ უკვე შესყიდული ავტოტრანსპორტის და კომპიუტერული ტექნიკის ჩანაცვლებას გაუმჯობესებული ტექნოლოგიების მქონე ან ახალი ავტოტრანსპორტით და კომპიუტერული ტექნიკით. ამ დროს მიმწოდებელს უკან უბრუნდება უკვე გამოყენებული შესყიდული ავტოტრანსპორტი და კომპიუტერული ტექნიკა და დაბრუნებული ავტოტრანსპორტის და კომპიუტერული ტექნიკის ღირებულება ჩაითვლება ანგარიშსწორებისას და გამოაკლდება ახალი ავტოტრანსპორტის და კომპიუტერული ტექნიკის ღირებულებას ისე, რომ შემსყიდველი ფარავს მხოლოდ სხვაობას, რომელიც ამ გამოკლების შედეგად მიიღება. შესყიდვის ეს ფორმა კანონპროექტის თანახმად ხორციელდება მხოლოდ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, რადგან მიმწოდებლისათვის ახალი ავტოტრანსპორტის და კომპიუტერული ტექნიკის საფასურად მისგან წინა შესყიდვისას მიღებული ძველი ავტოტრანსპორტის და კომპიუტერული ტექნიკის დაბრუნების პირობა გამორიცხავს სხვა მიმწოდებლების და შესაბამისად პირობათა სიმრავლის და ტენდერის გამართვის საფუძვლის არსებობას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს არანაირ გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი ქმნის სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის დანახარჯების შემცირების შესაძლებლობას, განსაკუთრებით ისეთი საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში, რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკასთან ან ტექნოლოგიებთან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ დგინდება გადასახადი, მოსაკრებელი ან რაიმე სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ სახელმწიფო, არასახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.